<u>**დანართი**</u>

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობები და დაფინანსების წესი

მუხლი 1

1. „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდეგში – სამინისტრო) მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობები და დაფინანსების წესი“ (შემდეგში – წესი) განსაზღვრავს სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების დაფინანსების წესსა და პირობებს და სხვა პროცედურულ საკითხებს.

2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი პროგრამების ფარგლებში წლის განმავლობაში დასაფინანსებელ ღონისძიებებზე/პროექტებზე განურჩევლად პროექტის განმახორციელებელი პირის სტატუსისა:

ა) პროგრამა „კულტურის ხელშეწყობა“;

ბ) პროგრამა „მუზეუმების ხელშეწყობა“;

გ) პროგრამა „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერა“.

3. ეს წესი არ ვრცელდება ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამების იმ პუნქტებზე, რომლებითაც განსაზღვრულია დაფინანსების განსხვავებული მექანიზმი.

მუხლი 2

1. ამ წესის პირველი მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის (შემდეგში – პროგრამა) ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები/პროექტები (შემდეგში – პროექტი) იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) საკონკურსო პროექტი – პროგრამით განსაზღვრული, კონკურსის წესით განსახორციელებელი პროექტი;

ბ) არასაკონკურსო პროექტი – პროგრამით განსაზღვრული, არასაკონკურსო წესით განსახორციელებელი ექსკლუზიური ან სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი.

2. ამ წესის მიზნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროცესის მოქნილობისათვის, საქმისწარმოებაში გამოიყენება საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა. წარმოებული მიმოწერა და მიღებული/გაგზავნილი დოკუმენტაცია არქივდება ზოგადი წესების შესაბამისად.

მუხლი 3

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროექტის განმახორციელებელი პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსით ახორციელებს პროექტს;

ბ) პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი (შემდეგში – დეპარტამენტი) – პროგრამის ფარგლებში პროექტისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის პროექტის მიზნებისათვის გამოყენებასა და პროექტის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს სტრუქტურული ერთეული;

გ) ექსკლუზიური პროექტი – პროექტი, რომლის განმახორციელებელი პირი განსაზღვრულია პროგრამით და რომელიც ხორციელდება არასაკონკურსო წესით;

დ) სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი – ექსკლუზიური პროექტი, რომლის ინიციატორია სამინისტრო და რომელსაც ახორციელებს სამინისტრო ან/და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) საკონკურსო პროექტი – პროექტი, რომლის განხორციელებაც ხდება კონკურსის შედეგების მიხედვით, პროგრამის პრიორიტეტებით განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად;

ვ) განცხადება პროექტის დაფინანსების თაობაზე – ამ წესის დანართი N1-ით განსაზღვრული, სამინისტროს სახელზე დაინტერესებული პირის მიერ წარმოსადგენი წერილობითი მომართვა პროექტის დაფინანსების თაობაზე;

ზ) ინფორმაცია პროექტის შესახებ – ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული ძირითადი ინფორმაცია, რომელიც თან ერთვის განცხადებას პროექტის დაფინანსების თაობაზე;

თ) დაზუსტებული ინფორმაცია პროექტის შესახებ – პროექტის დაფინანსების თაობაზე დაინტერესებული პირის მიერ ამ წესის დანართი N3-ით განსაზღვრული ფორმით წარმოსადგენი დაზუსტებული ინფორმაცია;

ი) ანგარიში – პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ ამ წესის დანართი N4-ით განსაზღვრული ფორმით წარმოსადგენი პროექტის განხორციელების შესახებ ანგარიში;

კ) პროექტის კოორდინატორი – პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც მართავს პროექტს, ახორციელებს თანხების მიზნობრივად განკარგვის კონტროლსა და პასუხისმგებელია პროექტის წარმატებაზე;

ლ) პროექტის ფინანსური ხელშეწყობის შესახებ ხელშეკრულება – სამინისტროსა და პროექტის განმახორციელებელ პირს შორის ამ წესის შესაბამისად დადებული ხელშეკრულება პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების მიზნით (შემდეგში – ხელშეკრულება);

მ) მიღება-ჩაბარების აქტი – პროექტის განმახორციელებელ პირთან გაფორმებული აქტი, რომლითაც დასტურდება განხორციელებული პროექტის თემატური და შინაარსობრივი შესაბამისობა ხელშეკრულების საგანთან, პროექტით დასახული მიზნის მიღწევა და ფაქტიურად გაწეული ხარჯების ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვასთან. სამინისტროს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტის უფროსი და ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4

1. საკონკურსო პროექტი ხორციელდება ამ წესისა და საკონკურსო პირობების შესაბამისად. საკონკურსო პირობებით განისაზღვრება ცალკეული კონკურსის მიზნები, საკონკურსო და პროექტის განხორციელების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

2. პროექტის დაფინანსების თაობაზე საკონკურსო განცხადების მიღების, განხილვის, კონკურსში გამარჯვებული პირის გამოვლენისა და მასთან ხელშეკრულების გაფორმების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 25 კალენდარულ დღეს. გამონაკლისის სახით, საჭიროების არსებობისას, ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია ცალკეული კონკურსის შემთხვევაში არა უმეტეს 30 კალენდარულ დღემდე, ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესის გათვალისწინებით.

3. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განსახორციელებელი კონკურსის საკონკურსო პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა საჭიროებს სამინისტროსთან შეთანხმებას.

4. დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საკონკურსო პირობების პროექტი დეპარტამენტის მიერ წარედგინება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდეგში - მინისტრი) შესაბამის მოადგილეს (შემდეგში - ზედამხედველი მინისტრის მოადგილე).

5. ზედამხედველი მინისტრის მოადგილის თანხმობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სამინისტროს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადების შესახებ. კონკურსის გამოცხადების თაობაზე ინფორმაცია მაშინვე ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ან სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე.

6. კონკურსანტს თითოეულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.

7. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი. ქართულ ენაზე თარგმნილი დოკუმენტები სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული (გარდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენებიდან თარგმანისა).

8. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება პროექტის დაფინანსების თაობაზე სამინისტროს სახელზე, დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) ინფორმაცია პროექტის შესახებ - მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (დანართი N2) შესაბამისად, რომელსაც თან უნდა დაერთოს საკონკურსო პირობებით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. კონკურსანტი უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი განცხადება ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.

10. კონკურსანტს, ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენისას, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 2 სამუშაო დღე, რომლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი.

11. კონკურსში განცხადების მიღების ვადად განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღე. იმ შემთხვევაში, თუ განცხადებების მიღების ბოლო ვადა

ემთხვევა არასამუშაო დღეს, მათი მიღების ბოლო ვადად განისაზღვრება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 5

1. სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვისა და შეფასების მიზნით, მინისტრის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია (შემდგომში – საკონკურსო კომისია).

2. კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვასა და შეფასებას საკონკურსო კომისია ასრულებს განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. გამონაკლისის სახით, საჭიროების არსებობისას, ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია ცალკეული კონკურსის შემთხვევაში არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღემდე, შესაბამისი დეპარტამენტის დასაბუთების საფუძველზე.

3. მინისტრის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია შედგება სამინისტროს თანამშრომლებისა და მოწვეული პირებისაგან და განისაზღვრება 5 წევრით. ბრძანებით საკონკურსო კომისიის წევრთაგან განისაზღვრება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და ის წევრი, რომელიც, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას შეასრულებს.

4. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია განისაზღვრება 5 წევრით, რომელთაგან ერთ-ერთი სამინისტროს წარმომადგენელია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა საჭიროებს სამინისტროსთან შეთანხმებას.

5. საკონკურსო კომისიაში, თითოეული კონკურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, წევრის სტატუსით უნდა მონაწილეობდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

6. საკონკურსო კომისიის მდივნის ფუნქციას ასრულებს დეპარტამენტის/სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესაბამისი თანამშრომელი.

7. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საკონკურსო კომისიის სხდომებს და მონაწილეობს კონკურსის ფარგლებში შემოსული განცხადებების განხილვა/შეფასებაში;

ბ) აკონტროლებს სხდომებისთვის საკონკურსო დოკუმენტაციისა და მასალების მომზადებას.

8. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ადმინისტრირებას ახორციელებს კომისიის მდივანი, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის სხდომების ჩატარებას, კომისიის თავმჯდომარეს უწევს დახმარებას თავის საქმიანობაში, კომისიის წევრებს ატყობინებს სხდომების ჩატარების დროსა და ადგილს, კომისიის წევრებისათვის ქმნის შესაბამის სამუშაო პირობებს და უზრუნველყოფს მათ საჭირო მასალებითა და დოკუმენტებით;

ბ) კონკურსის ფარგლებში განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საკონკურსო კომისიის წევრებს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის რეგისტრირებულ განცხადებებს და შესაბამის დოკუმენტაციას;

გ) აწარმოებს საკონკურსო კომისიის სხდომების ოქმებს.

9. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია, საკონკურსო კომისიის მიერ განცხადებების განხილვის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს გარემოება, რომელმაც

შეიძლება მას ხელი შეუშალოს რომელიმე განცხადების ობიექტურად შეფასებასა და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაში.

10. თუ საკონკურსო კომისიის წევრი არ განაცხადებს თვითაცილების შესახებ და ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ კონკურსის მიმდინარეობისას გახდება ცნობილი, მისი შეფასება მოცემული განცხადების შესახებ არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

11. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი.

12. საკონკურსო კომისიის სხდომა არის დახურული. კენჭისყრა ღიაა. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად.

13. საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შეფასება ხორციელდება 30 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0-10
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა)	0-5
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში	0-5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0-5
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის რეალურობა[1]	0-5
სულ		**30**

14. პროექტების შეფასების შედეგად, საკონკურსო კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ) პროექტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხით ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

დ) პროექტის კორექტირების შესახებ.

15. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს იმ პროექტის დაფინანსების შესახებ, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც პირველი და მე-2 კრიტერიუმების შეფასებით დააგროვებს ქულათა უფრო მაღალ ჯამს.

16. პროექტის ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტს მოსთხოვოს პროექტის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა, საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, რაც კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვადის დაუცველობის ან ამ ვადაში დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში,

[1] თუ პროექტი სრულად ფინანსდება პროგრამის ფარგლებში, პროექტის შეფასებისას მაქსიმალური ქულაა 25.

კონკურსანტი კონკურსიდან მოხსნილად ითვლება. მოცემული მიზეზით კონკურსიდან მოხსნის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტს ეგზავნება საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ.

17. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში/ოქმებში, რომელსაც/რომლებსაც ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

18. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნონ კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

19. დასაფინანსებელი პროექტებისა და მათი დაფინანსების ოდენობის თაობაზე საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილებას შესახებ დეპარტამენტი აცნობებს ზედამხედველ მინისტრის მოადგილეს, ადმინისტრაციასა (დეპარტამენტი) და ეკონომიკურ დეპარტამენტს. მიღებული შეტყობინებიდან (დაზუსტებული და სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან) მომდევნო სამუშაო დღეს, ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) მინისტრს წარუდგენს ბრძანების პროექტს დასაფინანსებელი პროექტის/პროექტების განსაზღვრისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე.

20. მინისტრის მიერ ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ეკონომიკური დეპარტამენტი უზრუნველყოფს კონკურსში გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელ პირთან ხელშეკრულების გაფორმებას.

21. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ხელშეკრულება ვერ გაფორმდა პროექტის განმახორციელებელი პირის ბრალეულობით, შესაბამისი ფინანსური რესურსი მიემართება ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის/პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი სხვა პროექტების/ღონისძიებების დასაფინანსებლად, ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.

22. პროექტის ფინანსური ხელშეწყობის შესახებ ბრძანება და პროექტის განმახორციელებელ პირთან დადებული ხელშეკრულება ელექტრონული პროგრამის საშუალებით ეგზავნება სამინისტროს ყველა დაინტერესებულ სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 6

1. არასაკონკურსო წესით პროექტის დაფინანსება ხორციელდება პროგრამაში ასახული პრიორიტეტების შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ სამინისტროს სახელზე წარმოდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელსაც თანდართული უნდა ჰქონდეს ინფორმაცია პროექტის შესახებ.

2. დაინტერესებული პირი ვალდებულია, სრულყოფილი დოკუმენტაცია სამინისტროში წარმოადგინოს პროექტის დაწყებამდე არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

3. სამინისტროს მიერ განცხადების განხილვის, მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 კალენდარულ დღეს.

4. პროექტის დაფინანსების შესახებ განცხადების განხილვა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) განცხადებას 3 სამუშაო დღის ვადაში შინაარსობრივად იხილავს დეპარტამენტი;

ბ) დადებითი პოზიციის შემთხვევაში, დასაფინანსებელი პროექტისა და დაფინანსების ოდენობის თაობაზე, დეპარტამენტი აცნობებს ზედამხედველ მინისტრის მოადგილეს,

ადმინისტრაციასა (დეპარტამენტი) და ეკონომიკურ დეპარტამენტს. მიღებული შეტყობინებიდან (დაზუსტებული და სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან) 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) მინისტრს წარუდგენს ბრძანების პროექტს დასაფინანსებელი პროექტის/პროექტების განსაზღვრისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე.გ) დეპარტამენტის დადებითი პოზიციის შემთხვევაში, მოქმედებს ამ წესის მე-5 მუხლის მე-20 - 22-ე პუნქტები.

5. სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის შემთხვევაში, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან ზედამხედველი მინისტრის მოადგილე ინიციატივით მიმართავს მინისტრს ისეთი პროექტის დაფინანსების თაობაზე, რომელიც გამომდინარეობს პროგრამით გაწერილი პრიორიტეტებიდან და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ საბიუჯეტო რესურსთან. მინისტრის დადებითი გადაწყვეტილებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) მინისტრს წარუდგენს ბრძანების პროექტს დასაფინანსებელი პროექტის/პროექტების განსაზღვრისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე.

6. მინისტრის ბრძანების საფუძველზე ხელშეკრულება ფორმდება ამ წესის მე-5 მუხლის მე-20 - 21-ე პუნქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 7

1. დაფინანსებული პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნით შემდეგი პირობებით:

ა) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 25% -ის ოდენობით;

ბ) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90%-ის ოდენობით.

2. პროექტის განმახორციელებელ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/ან ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები განისაზღვრება ამავე ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის სურვილის თაობაზე, მხარეები ერთმანეთს მიმართავენ წერილობით, რაზეც შესაბამისი პასუხი უნდა გაიცეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

3. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის პროცედურა რეგულირდება ხელშეკრულების გაფორმებისათვის ამ წესით განსაზღვრული ნორმებით.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები ითვალისწინებს ხელშეკრულებით დაფინანსებული პროექტის ფორმატის ან/და შინაარსის იმგვარ ცვლილებას, რაც არსობრივად ეწინააღმდეგება ან/და არ არის თავსებადი თავდაპირველ საკონკურსო პირობებთან, სამინისტრო უფლებამოსილია, მიზანშეუწონლობის მოტივით უარი განაცხადოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე.

5. ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში პუნქტთაშორისი ცვლილებები დასაშვებია ხარჯთაღრიცხვის 10%-ის ფარგლებში და საჭიროებს მხოლოდ სამინისტროს დროულ ინფორმირებას, გარდა შრომის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლებში თანხების დამატებისა. ხარჯთაღრიცხვაში სხვა ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს სამინისტროსგან წინასწარ წერილობითი შეთანხმების მოპოვებას შესაბამისი დასაბუთების წარდგენით. ამასთან, ახალი ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს

ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ს და ასევე არ უნდა იწვევდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ზრდას.

მუხლი 8

1. პროექტის განხორციელების მიმდინარეობისას, სამინისტრო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ადგილზე განახორციელოს შესაბამისი მონიტორინგი.

2. პროექტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ანგარიში სამინისტროში წარმოადგინოს ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 20 (ოცი) კალენდარული დღით ადრე.

3. პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, ეკონომიკური დეპარტამენტი აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც სამინისტროს მხრიდან ხელს აწერს პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტის უფროსი (ადასტურებს განხორციელებული პროექტის თემატურ და შინაარსობრივ შესაბამისობას ხელშეკრულების საგანთან), ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი (ადასტურებს ფაქტიურად გაწეული ხარჯების ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვასთან) და პროექტის განმახორციელებელი პირი.

4. ამ მუხლის წინა პუნქტით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს სამინისტროს მხრიდან ანგარიშსწორების საფუძველს, რომელიც ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. შესაძლებელია ანგარიშსწორების განსხვავებული პირობის დადგენა (წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში), რაც აისახება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში.

5. პროექტის განმახორციელებელს უფლება არ აქვს, სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე, განახორციელოს პროექტის თემატური ან/და შინაარსობრივი ცვლილება, მათ შორის იმ მოტივით, რომ მოცემული ცვლილება არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების განხორციელებასთან. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების განხორციელებასთან მიმართებით გამოიყენება მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესი.

6. სამინისტრო უფლებამოსილია, პროექტის მიმდინარეობისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის/ხარვეზის გამოვლენის (მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონიტორინგის ფარგლებში) შემთხვევაში, მოითხოვოს სამინისტროს მიერ მითითებულ ვადებში, პროექტის განმახორციელებლის მიერ, თავისი ხარჯებით, ღონისძიებების პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს უკვე გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება, ან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს უკვე გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება ისე, რომ არ გამოიყენოს მისთვის ამ მუხლის მე-6 პუნქტით მინიჭებული უფლება.

8. სამინისტროს/სამინისტროს მმართველობის ფარგლებში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში, შეზღუდვის გარეშე,

გამოიყენოს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან/და ნაბეჭდი ასლი, მათ შორის, მისი რეალიზაციის გზით.

მუხლი 9

1. სამინისტრო უფლებამოსილია, ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგი ასევე განახორციელოს ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონიტორინგის ფარგლებში, ამ წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია, მოითხოვოს მის მიერ მითითებულ ვადებში, პროექტის განმახორციელებლის მიერ, თავისი ხარჯებით, ღონისძიებ(ებ)ის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა. თუკი აღნიშნული შეუძლებელია, ან მხარე დათქმულ ვადაში არ შეასრულებს ვალდებულებას, სამინისტრო უფლებამოსილია, მოითხოვოს პროექტის დაფინანსებისათვის გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია, არ გამოიყენოს მისთვის ამავე პუნქტით განსაზღვრული უფლება (ღონისძიებ(ებ)ის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნის შესახებ) და მოითხოვოს უკვე გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება.

მუხლი 10

ცალკეული პროექტის დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს, მინისტრის თანხმობით, ამ წესისგან განსხვავებული პირობით.